

სს "საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემა"

2022 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.com/ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" აქციონერს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზო მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბაზო (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს “მმართველობით ანგარიშს”.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
29 ივნისი 2023 წელი



სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის


'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,217,636	1,158,385
არამატერიალური აქტივები		18,084	20,173
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	20	5,311	4,877
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		58,969	46,350
აქტივები გამოყენების უფლებით	9	151,645	165,434
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8(c)	24,828	28,407
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,476,473	1,423,626
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		9,168	11,483
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	34,813	32,216
გადახდილი ავანსები		1,882	1,628
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	178,429	21,383
სულ მოკლევადიანი აქტივები		224,292	66,710
სულ აქტივები		1,700,765	1,490,336
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12(a)	665,090	663,104
დაურეგისტრირებელი კაპიტალი	12(b)	2,085	2,098
უცხოური ვალუტის გადაცვლის რეზერვი	12(d)	97	318
დამატებით გადახდილი კაპიტალი	12(e)	65,930	21,180
დაგროვილი დეფიციტი		(230,618)	(535,062)
სულ კაპიტალი		502,584	151,638
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	712,776	871,635
ანარიცხები სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავებისთვის	18	12,915	18,216
საიჯარო ვალდებულებები	9	136,147	142,323
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	15	106,318	95,644
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		968,156	1,127,818
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	135,136	130,422
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	61,707	47,276
საიჯარო ვალდებულებები	9	29,762	29,762
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	15	3,420	3,420
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		230,025	210,880
სულ ვალდებულებები		1,198,181	1,338,698
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,700,765	1,490,336

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-46 გვერდებზე

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
2022 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	5	346,172	293,525
დაკარგული ელექტროენერჯის თვითღირებულება	5	(47,412)	(42,078)
		298,760	251,447
სხვა შემოსავალი		5,532	10,587
ხელფასები და გასამრჯელოები		(39,125)	(33,161)
ცვეთა და ამორტიზაცია		(71,178)	(64,526)
ანარიცხების გათავისუფლება/(დარიცხვა)			
სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავებისთვის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალის აღდგენა/(ანარიცხი)	18(c)	2,508	(6,439)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17(b)(ii)	1,255	(9,445)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები	6	(29,385)	(24,240)
		168,367	124,223
ფინანსური შემოსავალი	7	178,090	146,543
ფინანსური ხარჯები	7	(42,013)	(35,972)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		136,077	110,571
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		304,444	234,794
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		304,444	234,794
სხვა სრული ზარალი			
ერთეულები, რომლებიც არის ან შეიძლება იყოს რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში საკუროს სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის		(221)	(133)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		304,223	234,661

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 29 ივნისს შემდეგი პირების მიერ:


 გიორგი გიგინვილი
 გენერალური დირექტორი


 ნინო მაისურაძე
 მთავარი ბუღალტერი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-46 გვერდებზე.

*სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
2022 წლის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება*

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	დაურეგისტრირებული კაპიტალი	უცხოური ვალუტის გადაცვლის რეზერვი	დაგროვილი დეფიციტი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	662,584	2,098	451	(769,856)	11,680	(93,043)
მთლიანი სრული მოგება						
წლის მოგება	-	-	-	234,794	-	234,794
სხვა სრული ზარალი						
საკურსო სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის	-	-	(133)	-	-	(133)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	(133)	234,794	-	234,661
შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის						
დამატებით გადახდილი კაპიტალი (12 (e))	-	-	-	-	9,500	9,500
მესაკუთრის არაფულადი შენატანები	694	-	-	-	-	694
მესაკუთრის არაფულადი განაწილებები	(174)	-	-	-	-	(174)
სულ შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის (იხილეთ შენიშვნა 12(a))	520	-	-	-	9,500	10,020
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	663,104	2,098	318	(535,062)	21,180	151,638
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	663,104	2,098	318	(535,062)	21,180	151,638
მთლიანი სრული მოგება						
წლის მოგება	-	-	-	304,444	-	304,444
სხვა სრული ზარალი						
საკურსო სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის	-	-	(221)	-	-	(221)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(221)	304,444	-	304,223
შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის						
დამატებით გადახდილი კაპიტალი (12 (e))	-	-	-	-	44,750	44,750
მესაკუთრის არაფულადი შენატანები (გადაცემა)	13	(13)	-	-	-	-
მესაკუთრის არაფულადი შენატანები	1,973	-	-	-	-	1,973
სულ შენატანები მესაკუთრეების მიერ და განაწილებები მესაკუთრეებისთვის (იხილეთ შენიშვნა 12(a))	1,986	-	-	-	44,750	46,736
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	665,090	2,085	97	(230,618)	65,930	502,584

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-46 გვერდებზე.

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
2022 წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		304,444	234,794
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		71,178	64,526
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალის (აღდგენა)/ანარიცხი	17(b)(ii)	(1,255)	9,445
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	(132,657)	(107,151)
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	7,15	(3,420)	(3,420)
სხვა არაფულადი ერთეულები		432	3,132
		238,722	201,326
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		2,315	(2,765)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(2,215)	(12,418)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(10,097)	5,962
გადახდილ ავანსებში		(254)	29,306
ანარიცხებში	18	(2,508)	(1,641)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		225,963	219,770
გადახდილი პროცენტი	9,14	(42,461)	(64,675)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(10,350)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		183,502	144,745
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი	7	7,149	9,656
დამატებითი შენატანი ერთობლივ საწარმოში		(434)	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		-	(1,259)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(88,860)	(100,416)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(82,145)	(92,019)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	14	79,137	56,205
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	9	(6,141)	(262)
შემოსულობები გრანტებიდან	15	15,851	-
სესხების დაფარვა	14	(75,309)	(116,819)
გადახდილი დივიდენდები		-	(58,650)
შენატანები სააქციო კაპიტალში	12(e)	44,750	9,500
საფინანსო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		58,288	(110,026)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		159,645	(57,300)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	11	21,383	79,685
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,599)	(1,002)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	178,429	21,383

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-46 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - „ჯგუფი“) წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებას რეგისტრირებულს და მოქმედს თურქეთის რესპუბლიკაში. იხ. შენიშვნა 20.

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 12 ნოემბერს სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტრირიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას და მათ სამართალმემკვიდრეს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (NASP) 2020 წლის 16 დეკემბერს გაცემული №1/1-3737 დადგენილების შესაბამისად, შპს ენერგოტრანსი შეერწყა მის პირდაპირ მშობელ კომპანიას - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“. შერწყმა განხორციელდა 2021 წლის 21 იანვარს. შედეგად, კომპანია გახდა შპს „ენერგოტრანსის“ კანონიერი სამართალმემკვიდრე. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, შპს "ენერგოტრანსი" და კომპანია ერთი საწარმოს სახით მოქმედებდნენ. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია # 5/4-3396.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის გადაცემა, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერჯის გადაცემა, ექსპორტისა და ელექტროენერჯის მიწოდების ჩათვლით, ვარძიისა და ზეკარის 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისა და მესხეთის 400-კილოვოლტიანი შემაერთებელი ხაზის საშუალებით თურქეთთან, რომელიც გაყვანილ იქნა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) ფარგლებში. BSTN უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებას საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელისთვის მეორე დასავლეთ-აღმოსავლეთ 500-კილოვოლტიანი ხაზის დამატების გზით და თურქეთში ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობის ხელშეწყობით. BSTN პროექტი 2013 წლის ბოლოს დასრულდა.

2021 წლის 24 ივნისს გამოშვებული, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) №28/1 დადგენილების შესაბამისად გადაცემის და განაწილების ლიცენზიები გაუქმდა და მათ ნაცვლად ჯგუფს მიენიჭა ერთიანი გადამცემი სისტემის ოპერატორის ლიცენზია.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-19 შენიშვნაში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა ბაზრის ახალი კონცეფცია, რომლის ამოქმედება თავდაპირველად 2021 წლის 1 ივლისიდან იგეგმებოდა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება N244-ის საფუძველზე, ცვლილებები ბაზრის კონცეფციაში 2022 წლის იანვრამდე გადაიდო. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის დადგენილება №89-ის საფუძველზე, ბაზრის კონცეფციაში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა კვლავ გადაიდო 2022 წლის 1 სექტემბრამდე. შედეგად, საქართველოს მთავრობის N246 დადგენილების საფუძველზე, ბაზრის კონცეფციაში საკანონმდებლო ცვლილებები 2023 წლის 1 ივლისამდე გადაიდო. მთავრობის 20 ივნისის N239 დადგენილების საფუძველზე, ბაზრის კონცეფციაში საკანონმდებლო ცვლილებები 2024 წლის 1 ივლისამდე გადაიდო.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებს და ახალი ბაზრის კონცეფციის შემოღებას ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის დადგენილება N1012-ის საფუძველზე, გარკვეული სამთავრობო დაწესებულებების ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესი იქნა დამტკიცებული, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კომპანიის ფინანსური ზედამხედველობის პასუხისმგებლობა იკისრა.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვეველობებს ეკონომიკაში, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთნიშნა ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფას-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, შეტანილია შენიშვნაში 22 (iii)- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 17 - სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2022	2021
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი ელექტროენერჯის გადაცემიდან	297,269	254,773
შემოსავალი ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციიდან	-	19,742
შემოსავალი ელექტროენერჯის ექსპორტიდან	25,876	8,682
შემოსავალი ტრანზიტიდან	22,388	8,125
სხვა შემოსავალი	639	2,203
სულ შემოსავლები	346,172	293,525

შემოსავალი გამოითვლება სემეკ-ის მიერ დადგენილი გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ტარიფების საფუძველზე.

2021 წლის 1 ივლისიდან „სემეკის“ #28/1 დადგენილების შესაბამისად, რომელიც თარიღდება 2021 წლის 24 ივნისით, კომპანია გახდა ერთადერთი გადამცემი სისტემის ოპერატორი (TSO), რომელიც პასუხისმგებელია მთლიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მართვაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და სათანადო ექსპლუატაციაზე. გაუქმდა ელექტროენერჯის გადამცემის და დისპეტჩერიზაციის ცალკეული ტარიფები, გაუქმდა კომპანიაზე გაცემული დისპეტჩერიზაციის ლიცენზია და დადგინდა ახალი გადამცემი სისტემის ლიცენზიატის ტარიფი, რომელიც შეადგენს 0.02664 ლარს კვტ.სთ-ზე 2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის.

2018 წლის 4 მაისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია აანაზღაუროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის (ესკო) გადამცემის პროცესში დაკარგული ელექტროენერჯის ხარჯი. ანაზღაურებული ხარჯები, რომელიც შეადგენს 47,412 ათას ლარს (2021 წელს: 42,078 ათასი ლარი), წარმოდგენილია ელექტროენერჯის დანაკარგის სახით კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით:

'000 ლარი	2022	2021
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
ადგილობრივი	314,138	281,701
უცხოური	32,034	11,824
სულ შემოსავლები	346,172	293,525

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“	34,237	31,643

ბიზნეს ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან სახელშეკრულებო ნაშთები არ არსებობს.

(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, მომხმარებლებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე კონტროლის გადამცემის მომენტში. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში, იხილეთ ასევე შენიშვნა 22 (b).

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	7,374	5,890
აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების საფასური	3,577	3,236
ტრანსპორტირების ხარჯები	2,670	1,823
უსაფრთხოების ხარჯები	2,341	2,946
სამიწვინებო ხარჯები	2,218	1,445
დაზღვევის ხარჯები	1,966	1,791
ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ხარჯები	1,233	652
მოკლევადიანი იჯარები	880	933
წევრობის საფასური	828	746
კომუნალური ხარჯები	750	713
სხვა	5,548	4,065
	29,385	24,240

აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს აუდიტის მოსაკრებელს, რომელიც შეადგენს 302 ათას ლარს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2021 წელს: 140 ათასი ლარი).

7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2022	2021
ადიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	7,149	9,656
შემოსავალი გრანტის ამორტიზაციიდან	3,420	3,420
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	167,521	133,467
ფინანსური შემოსავალი	178,090	146,543
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(16,531)	(22,483)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(23,585)	(12,138)
ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით განპირობებული ზარალი	(1,897)	(1,351)
ფინანსური ხარჯები, წმინდა	(42,013)	(35,972)
მოგებაში ან ზარალში ადიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	136,077	110,571

2022 წელს, ჯგუფმა მოახდინა სესხებსა და კრედიტებზე 7,871 ათასი ლარის ოდენობით პროცენტის კაპიტალიზაცია (2021 წელს: 4,419 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 8(b).

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	ელექტროგა დამცემი ხაზები	მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა (CIP) და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	სულ
<i>თვითღირებულება ან დასაშვები საწყისი ღირებულება</i>					
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	154,462	550,026	888,577	184,635	1,777,700
შესყიდვები	933	681	1,587	61,721	64,922
გასვლები / ჩამოწერები	-	(29)	(3,922)	(20,285)	(24,236)
გადაცემები	17,283	22,125	12,748	(52,156)	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	172,678	572,803	898,990	173,915	1,818,386
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	172,678	572,803	898,990	173,915	1,818,386
შესყიდვები	1,986	-	-	109,924	111,910
გასვლები / ჩამოწერები	(31)	-	(289)	(198)	(518)
გადაცემები	1,903	6,410	10,086	(18,399)	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	176,536	579,213	908,787	265,242	1,929,778
<i>ცვეთა და გაუფასურების ზარალები</i>					
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	(42,778)	(211,750)	(348,036)	(5,457)	(608,021)
წლის ცვეთა	(4,709)	(14,546)	(33,888)	-	(53,143)
გასვლები	-	5	1,158	-	1,163
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	(47,487)	(226,291)	(380,766)	(5,457)	(660,001)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	(47,487)	(226,291)	(380,766)	(5,457)	(660,001)
წლის ცვეთა	(4,764)	(13,261)	(34,202)	-	(52,227)
გასვლები / ჩამოწერები	24	-	62	-	86
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(52,227)	(239,552)	(414,906)	(5,457)	(712,142)
<i>საბალანსო ღირებულებები</i>					
2021 წლის 1 იანვარს	111,684	338,276	540,541	179,178	1,169,679
2021 წლის 31 დეკემბერს	125,191	346,512	518,224	168,458	1,158,385
2022 წლის 31 დეკემბერს	124,309	339,661	493,881	259,785	1,217,636

2022 წლის განმავლობაში, პირდაპირმა მშობელმა კომპანიამ განახორციელა 1,986 ათასი ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე (2021 წელს: 694 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 12) მიწის ნაკვეთების შენატანი კომპანიის კაპიტალში, ხოლო კომპანიამ გაანაწილა 174 ათასი ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე დანადგარები და ელექტროგადამცემი ხაზები 2021 წელს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, სრულად გაცვეთილი ერთეულების თვითღირებულება 83,617 ათას ლარს შეადგენდა (2021 წლის 31 დეკემბერი: 81,472 ათასი ლარი).

(a) უზრუნველყოფა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ხაზებსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად), რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 30,009 ათას ლარს (31 დეკემბერი 2021 წელი: 37,648 ათასი ლარი), დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფის სახით. იხილეთ მე-14 შენიშვნა.

(ბ) დაუმთავრებელი მშენებლობა (CIP) და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 259,785 ათასი ლარის ღირებულების (31 დეკემბერი 2021 წელი: 168,458 ათასი ლარი) დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობა მოიცავს 36,699 ათასი ლარის (31 დეკემბერი 2021 წელი: 33,286 ათასი ლარი) სათადარიგო ნაწილებს და სარეზერვო აპარატურას ძირითადი საშუალებების ფუნქციონირების მხარდასაჭერად, და 223,086 ათასი ლარის (31 დეკემბერი 2021 წელი: 141,016 ათასი ლარი) დაუმთავრებელ მშენებლობას.

სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, დამხმარე და მომსახურე აღჭურვილობას, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალებების განსაზღვრებას და საჭიროა ჯგუფის ძირითადი საშუალებების სათანადო ყოველდღიური ოპერირებისათვის, აგრეთვე იხილეთ შენიშვნა 22 (k).

9. იჯარები

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებისთვისაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს წარმოდგენილია ქვემოთ.

'000 ლარი	ელექტროგადამცემი ხაზები	
	2022	2021
აქტივები გამოყენების უფლებით		
ნაშთი 1 იანვარს	172,347	-
შესყიდვები	-	172,347
ნაშთი 31 დეკემბერს	172,347	172,347
ცვეთა		
ნაშთი 1 იანვარს	(6,913)	-
ცვეთის დარიცხვა	(13,789)	(6,913)
ნაშთი 31 დეკემბერს	(20,702)	(6,913)
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	165,434	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	151,645	165,434
საიჯარო ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება 1 იანვარს	172,085	-
შესყიდვები	-	172,347
პროცენტის დარიცხვა	23,585	12,138
საიჯარო ვალდებულების გადახდები	(29,761)	(12,400)
ნაშთი 31 დეკემბერს	165,909	172,085

2021 წლის 1 ივლისიდან, „სემეკის“ #281/1 რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც თარიღდება 2021 წლის 24 ივნისით, კომპანია გახდა ერთადერთი კომპანია, რომელსაც აქვს ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზია (იხილეთ შენიშვნა 5). ამ ცვლილების შედეგად 2021 წლის 1 ივლისიდან, კომპანიამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება სს გაერთიანებულ ენერგოსისტემა საქრუსენერგოსთან ელექტროგადამცემი ხაზების იჯარის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით ზემოაღნიშნული მუხლებისთვის. იჯარის ვადა განისაზღვრა იჯარით აღებული აქტივების დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადით, რომელიც 10-დან 25 წლამდე დიაპაზონში მერყეობს. მომავალი იჯარის გადახდების დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 15%-ით განისაზღვრა.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2022	2021
მოკლევადიანი მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	59,792	58,140
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(25,555)	(26,497)
სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	34,237	31,643
სხვა მოთხოვნები	2,480	2,790
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(1,904)	(2,217)
	34,813	32,216

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2022	2021
საბანკო ნაშთები	178,429	21,383
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში		
და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	178,429	21,383

არცერთი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობელობის ანალიზი განხილულია მე-17 შენიშვნაში.

12. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციები	
	2022	2021
ნომინალური ღირებულება	1 ლარი	1 ლარი
გამოშვებული 1 იანვარს	663,104,380	662,583,016
გამოშვებული წლის განმავლობაში	1,985,643	694,964
გამოსყიდული წლის განმავლობაში	-	(173,600)
31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად განაღდებული	665,090,023	663,104,380

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ კომპანიის კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

2022 წელს, კომპანიის აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა 1,986 ათასი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება (2021 წელს: 694 ათასი ჩვეულებრივი აქცია) თითოეული აქცია 1 ლარის ღირებულებით. გამოშვებული აქციები გადახდილი იქნა არა-ფულადი შენატანებით.

(b) დაურეგისტრირებელი კაპიტალი

დაურეგისტრირებელი კაპიტალი შედგება იმ აქციონერების მიერ გაკეთებული აქტივების შენატანებისგან, რომელიც არის კომპანიის მფლობელობაში, მაგრამ ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში და ასევე სხვა განსხვავებები სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და აქციონერების მიერ შეტანილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის.

(c) დივიდენდები

2022 წლის 1 იანვრიდან, შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით გათვალისწინებული წესით მიიღოს გადაწყვეტილება გამოწერილ აქტივებზე მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც:

- i.** დივიდენდების განაწილებამდე ან მათი განაწილების შედეგად, წმინდა აქტივები, როგორც ეს მოცემულია სააქციო საზოგადოების უკანასკნელ ფინანსურ ანგარიშგებაში, ნაკლებია გამოწერილი კაპიტალის ოდენობაზე, დამატებული კანონმდებლობით ან წესდებით განსაზღვრული რეზერვები, რომელიც არ შეიძლება განაწილებულ იქნეს აქციონერებზე;
- ii.** გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა აღემატება სააქციო საზოგადოების უკანასკნელ ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულ წმინდა მოგებას, ან შუალედური დივიდენდების შემთხვევაში, მოგებას, რომელიც მიღებულია უკანასკნელი ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ, დამატებული ნებისმიერი გადმოტანილი მოგება ან თავისუფალი რეზერვებიდან აღებული თანხები, გამოკლებული ნებისმიერი გადმოტანილი ზარალები და რეზერვებში განთავსებული თანხები (კანონმდებლობის ან წესდების შესაბამისად).
- iii.** დივიდენდების განაწილების თარიღისთვის ან დივიდენდების განაწილების შედეგად სააქციო საზოგადოება გახდება გადახდისუუნარო ან დადგება გადახდისუუნარობის რისკის წინაშე.

2021 წელს, კომპანიამ გადაიხდა 58,650 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდი, რომელიც 2020 წელს გამოცხადდა.

(d) საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი შედგება უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ყველა სხვაობისგან, რომელიც წარმოიშობა უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების გადაყვანის შედეგად.

(e) დამატებით გადახდილი კაპიტალი

დამატებით გადახდილი კაპიტალი დაკავშირებულია საქართველოს მთავრობისგან მიღებულ სახსრებთან (54,250 ათასი ლარი) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან შპს „ენერგოტრანსისთვის“ გაცემული სესხის მოდიფიცირების ზარალთან (11,680 ათასი ლარი). საქართველოს მთავრობისგან მიღებული 54,250 ათასი ლარიდან, 44,750 ათასი ლარი მიღებულ იქნა კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 2022 წლის განმავლობაში.

13. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით და სესხებითა და კრედიტებით ფინანსდება.

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ არიან დაქვემდებარებული გარედან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

14. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელმწიფო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-17 შენიშვნაში.

'000 ლარი	2022	2021
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	700,418	857,661
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	12,358	13,974
	712,776	871,635
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საფინანსო დაწესებულებებიდან არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	135,136	130,422
	135,136	130,422

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი		31 დეკემბერი 2022				
		ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან:						
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო		KfW სარეფერენტო განაკვეთი +4% სარეფერენტო განაკვეთი სესხის ვალუტისათვის +ცვლადი საპრ. განაკვეთი	2028	188,220	183,098
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - WB	აშშ დოლარი		Euribor+ 0.75%	2038	160,920	160,920
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო		1%-1.5%	2033	145,163	145,163
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ADB	SDR		სარეფერენტო	2032	94,084	94,084
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - IBRD	ევრო		განაკვეთი+ფიქსირებული ზრდა	2044	63,017	63,017
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო		Euribor+ 1%	2027	62,245	61,935
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო		2.2%	2025	43,619	43,619
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო		Euribor+ 1%	2028	39,177	39,177
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო		1% - 1.5%	2025-2037	17,215	17,215
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD 35 მლნ.	ევრო		Euribor+ 1%	2026	11,048	11,048
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო		0.25-0.05%	2032	16,188	16,188
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო		Euribor+ 0.35%	2034	90	90
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან:						
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო		7.5%	2029	20,571	12,358
სულ პროცენტური ვალდებულებები					861,557	847,912

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31 დეკემბერი 2021					
'000 ლარი	ნომინალური				
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან:					
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო	KFW სარეფერენტო განაკვეთი + 4 %	2028	227,665	220,217
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო	Euribor+ 1%	2027	91,739	91,364
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ADB	SDR	1%-1.5%	2044	124,639	124,639
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო	2.2%	2025	58,274	58,274
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- WB	აშშ დოლარი	სარეფერენტო განაკვეთი სესხის ვალუტისათვის +ცვლადი საპრ. განაკვეთი	2038	180,619	180,619
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო	0.25-0.05%	2032	19,279	19,279
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო	1%-1.5%	2025-2037	22,327	22,327
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - IBRD	ევრო	სარეფერენტო განაკვეთი+ფიქსირ	2044	26,837	26,837
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KFW	ევრო	ეზული ზრდა	2034	44	44
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო	Euribor+ 0.35%	2033	192,914	192,914
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD	ევრო	Euribor+ 0.75%	2028	51,569	51,569
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	Euribor+ 1%	2028	51,569	51,569
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან:					
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.5%	2029	24,990	13,974
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				1,020,896	1,002,057

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ხაზებსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად), რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 30,009 ათას ლარს (31 დეკემბერი 2021 წელი: 37,648 ათასი ლარი), დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფის სახით.

არაუზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან წარმოადგენს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკიდან (EIB), Kreditanstalt für Wiederaufbau-დან (KfW) და აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მიღებულ სესხებს. სესხები EBRD, EIB და KfW ბანკებიდან გამოეყო საქართველოს მთავრობას „შავი ზღვის გადამცემი ქსელის“ პროექტთან დაკავშირებით ახალი ენერგოგადამცემი ხაზების მშენებლობისთვის. თავის მხრივ საქართველოს მთავრობამ, მიღებული თანხები, დაფარვის ვალდებულებასთან ერთად გადასცა ჯგუფს. კრედიტორებმა იურიდიულად არ გაათავისუფლეს საქართველოს მთავრობა სესხების დაფარვის მთავარი პასუხისმგებლობისგან, შესაბამისად საქართველოს მთავრობა მოქმედებდა მარწმუნებლის სახით აღნიშნულ გარიგებებში და ჯგუფის მიერ გადასახდელი სესხები მიმართულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსკენ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან 2022 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული დამატებითი სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, 2022 წლის 30 დეკემბრამდე დასაფარი სასესხო ვალდებულების დაფარვა 2023 წლის 5 იანვრამდე გადაიდო, 16,419 ათასი ლარის ოდენობით დამატებითი საპროცენტო გადახდების დაკისრების გარეშე.

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	სესხები და კრედიტები	
	2022	2021
ნაშთი 1 იანვარს	1,002,057	1,222,437
შემოსულობები სესხებიდან და კრედიტებიდან	79,137	56,205
სესხების დაფარვა	(75,309)	(116,819)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	3,828	(60,614)
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(165,431)	(135,482)
საპროცენტო ხარჯი	16,531	22,483
კაპიტალიზებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	7,871	4,419
გადახდილი პროცენტი	(18,)	841 (52,537)
ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით		
განპირობებული ზარალი	1,897	1,351
სულ სხვა ცვლილებები	7,458	(24,284)
ნაშთი 31 დეკემბერს	847,912	1,002,057

15. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

'000 ლარი	2022	2021
ნაშთი 1 იანვარს	99,064	101,679
მიწერილი სხვა შემოსავალში მოგებაში ან ზარალში	(3,420)	(3,420)
გრანტების აღიარების შეწყვეტა	(1,757)	(3,729)
მიღებული წლის განმავლობაში	15,851	4,534
ნაშთი 31 დეკემბერს	109,738	99,064
გრძელვადიანი	106,318	95,644
მოკლევადიანი	3,420	3,420
	109,738	99,064

წლის განმავლობაში მიღებული გრანტები წარმოადგენს საფინანსო დაწესებულებების მიერ მომწოდებელზე უშუალოდ გადახდილ თანხებს ძირითადი საშუალებების შესაძენად.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ვალდებულებები შესრულებულ სამშენებლო სამ. დაკავშირებით	42,488	16,941
სხვა ვალდებულებები	19,219	29,734
საგადასახადო ვალდებულებები	-	601
ნაშთი 31 დეკემბერს	61,707	47,276

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-17 შენიშვნაში.

17. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებები შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულებისგან არსებითად არ განსხვავდება.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 17 (b)(i);
- ლიკვიდურობის რისკი - შენიშვნა 17 (b)(ii);
- საბაზრო რისკი - შენიშვნა 17 (b)(iii).

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ რისკზე ჯგუფის დაქვემდებარების შესახებ, ასევე ჯგუფის რისკების შეფასებისა და მართვისთვის და ჯგუფის კაპიტალის მართვისთვის შემუშავებულ მიზნებზე, პოლიტიკებსა და პროცესებზე. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია შესულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკის მართვის სტრუქტურა

მმართველ საბჭოს აკისრია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

სამეთვალყურეო საბჭოს მის ზედამხედველობის ვალდებულების განხორციელებაში ეხმარება შიდა აუდიტი.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და წარმოიშობა ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ნაშთებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. გეოგრაფიულად საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ჯგუფის სტანდარტული ანგარიშსწორების და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ჯგუფის მიმოხილვა ითვალისწინებს გარე შეფასებებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო რეფერენციებს. ჯგუფის შემოსავლების დაახლოებით 29% (2021:20%) უკავშირდება გაყიდვების ტრანზაქციებს ერთ მომხმარებელთან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

ჯგუფი განსაზღვრავს რეზერვს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ მოსალოდნელი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეზერვის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	2022		2022	
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი				სულ
დაბალი რისკი	34,237	-	-	34,237
მაღალი რისკი	-	25,555	25,555	25,555
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	34,237	25,555	25,555	59,792
ზარალის რეზერვი	-	(25,555)	(25,555)	(25,555)
	34,237	-	-	34,237

'000 ლარი	2021		2021	
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი				სულ
დაბალი რისკი	31,643	-	-	31,643
მაღალი რისკი	-	26,497	26,497	26,497
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	31,643	26,497	26,497	58,140
ზარალის რეზერვი	-	(26,497)	(26,497)	(26,497)
	31,643	-	-	31,643

ჯგუფი ზემოაღნიშნულ ხარისხებს განსაზღვრავს შემდეგნაირად:

დაბალი რისკი - კონტრაქტებს აქვთ ძლიერი უნარი შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და არ არის სავარაუდო, რომ უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

მაღალი რისკი - კონტრაქტებს, ახლო მომავალში, აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი და ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს მომავალი უარყოფითი ცვლილებები სავარაუდოდ შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი მაღალი რისკის ხარისხისთვის არის დაახლოებით 100% (2021: 100%).

მომრაობა გაუფასურების ზარალების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	ინდივიდუალური გაუფასურება	
	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	26,497	17,052
დარიცხვა/(გათავისუფლება) წლის განმავლობაში	(942)	9,445
ნაშთი წლის ბოლოს	25,555	26,497

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ.

გასული წლების გადაუხდელობის სტატისტიკის მიხედვით, ჯგუფს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი გაუფასურების რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკში, რომლის მოკლევადიანი რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ჯგუფი ლიკვიდურობის მოთხოვნებს მართავს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების პროგნოზებს. ჯგუფმა განსაზღვრა ყოველწლიური ბიუჯეტირების პროცესი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. ბიუჯეტს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო და ამოწმებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ბიუჯეტის განახლება ხდება ყოველთვიურად ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს, მომავალი 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებებზე გადაჭარბებული ოდენობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება.

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფს ეკისრება ძირითადი საშუალებების შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულება 487,675 ათასი ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 311,115 ათასი ლარი). კაპიტალის ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან მიღებული გამოუყენებელი სესხებით. გამოუყენებელი სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,119,967 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,044,652 ათასი ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

2022 '000 ლარი	სახელშეკრულებო				
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
არაუზრუნველყოფილი სესხები					
საფინანსო დაწესებულებებიდან	835,554	983,794	153,620	428,088	402,086
უზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარისგან	12,358	25,073	-	-	25,073
საიჯარო ვალდებულებები	165,909	361,761	29,762	119,046	212,953
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61,707	61,707	61,707	-	-
	1,075,528	1,432,335	245,089	547,134	640,112

2021 '000 ლარი	სახელშეკრულებო				
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
არაუზრუნველყოფილი სესხები					
საფინანსო დაწესებულებებიდან	988,083	1,115,884	163,315	486,752	465,817
უზრუნველყოფილი სესხები					
დაკავშირებული მხარისგან	13,974	24,990	-	-	24,990
საიჯარო ვალდებულებები	172,085	391,524	29,762	119,047	242,715
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,675	46,675	46,675	-	-
	1,220,817	1,579,073	239,752	605,799	733,522

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ადრე ან არსებითად განსხვავებულ ოდენობით.

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ სავალუტო კურსების ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებას გამოიწვევს. ჯგუფის დაქვემდებარება სავალუტო კურსებში მომხდარ ცვლილებებზე ძირითადად უკავშირდება ევროში, აშშ დოლარში და SDR-ში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს მის სავალუტო რისკზე დაქვემდებარების ჰეჯირებას.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე წარმოდგენილია შემდეგი სახით პირობით თანხებზე დაყრდნობით:

'000 ლარი	SDR-ში დენომინირებული 2022	აშშ დოლარში დენომინირებული 2022	ევროში დენომინირებული 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	5,307	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	6,738	3,044
სესხები და კრედიტები	(94,084)	(160,920)	(592,908)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(3,820)	(26,259)
წმინდა დაქვემდებარება	(94,084)	(152,695)	(616,123)

'000 ლარი	SDR-ში დენომინირებული 2021	აშშ დოლარში დენომინირებული 2021	ევროში დენომინირებული 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,504	64
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	9,865	1,477
სესხები და კრედიტები	(124,639)	(180,619)	(696,799)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(2,162)	(18,700)
წმინდა დაქვემდებარება	(124,639)	(169,412)	(713,958)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საანგარიშგებო თარიღისთვის			
	საშუალო კურსი		არსებული კურსი	
	2022	2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი	2.9156	3.2209	2.7020	3.0976
1 ევრო	3.0792	3.8140	2.8844	3.5040

მგრძობელობის ანალიზი

აშშ დოლართან, ევროსთან და SDR-თან მიმართებაში ლარის კურსის გამყარება/შესუსტება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა/(შემამცირებდა) მოგებას ან ზარალს, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან პირდაპირ კაპიტალზე. მოცემული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებებზე, რაც ჯგუფმა მიიჩნია საკმარისად შესაძლებლად საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის ანალიზი განხორციელდა იგივე საფუძველზე.

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

'000 ლარი	<u>გამყარება</u>	<u>შესუსტება</u>
	<u>მოგება</u>	<u>(ზარალი)</u>
31 დეკემბერი 2022		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	15,270	(15,270)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	61,612	(61,612)
SDR (10%-იანი მოძრაობა)	9,408	(9,408)
31 დეკემბერი 2021		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	16,941	(16,941)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	71,396	(71,396)
SDR (10%-იანი მოძრაობა)	12,463	(12,463)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის მქონე დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალეზადი განაკვეთის მქონე დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად თუ რამდენად უნდა ექვემდებარებოდეს ჯგუფი ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. თუმცა ახალი სესხის ან კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვალეზადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი ჯგუფისთვის მოსალოდნელი დროის განმავლობაში, ვადის ამოწურვამდე.

პროფილი

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

'000 ლარი	<u>საბალანსო ღირებულება</u>	
	<u>2022</u>	<u>2021</u>
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	178,429	21,383
ფინანსური ვალდებულებები	(167,276)	(219,214)
	11,153	(197,831)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(680,636)	(782,843)
	(680,636)	(782,843)

სამართლიანი ღირებულების მგრძობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

ჯგუფი არ აღრიცხავს მის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძობელობის ანალიზი ცვალეზადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

საანგარიშგებო თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზისო პუნქტის ცვლილება გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი აკეთებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადები კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები რჩება უცვლელი.

	მოგება ან (ზარალი)	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
'000 ლარი		
31 დეკემბერი 2022		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(68,063)	68,063
ფულადი ნაკადების მგრძობელობა (წმინდა)	(68,063)	68,063
31 დეკემბერი 2021		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(78,284)	78,284
ფულადი ნაკადების მგრძობელობა (წმინდა)	(78,284)	78,284

18. პირობითი ვალდებულებები და ანარიცხები

(a) დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომლებიც მიღებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს ჯგუფის ქონებაზე უბედური შემთხვევებისა თუ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი, ასევე ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში. სანამ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ჯგუფისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით აღასრულებენ თავიანთ ინტერპრეტაციებს.

(c) ანარიცხები სამართალწარმოების, საჩივრებისა და დავებისთვის

	2022	2021
'000 ლარი		
ნაშთი წლის დასაწყისში	18,216	19,856
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	6,440
გათავისუფლება და ანგარიშსწორება წლის განმავლობაში	(2,508)	(8,080)
სავალუტო რისკის გავლენა	(2,793)	-
ნაშთი 31 დეკემბერს	12,915	18,216

2022 წელს, "დავების საბჭომ" ("საბჭო") მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ, საქმეში, რომელშიც კომპანია მოპასუხის სახით იყო ჩართული. გათავისუფლება და ანგარიშსწორება წლის განმავლობაში მოიცავს სადავო ოდენობის და კომპანიის მიერ ფიზიკური პირებისთვის გადახდილი ოდენობის 2,443 ათასი ლარით და 65 ათასი ლარით შემცირებას, შესაბამისად.

2021 წლის განმავლობაში, საბჭოს მოლაპარაკებების შედეგად, ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ კონტრაქტთან და 8,080 ათასი ლარის გადახდას დათანხმდა.

2021 წლის განმავლობაში, 4,009 ათასი ლარის ოდენობით დამატებითი დარიცხვები განხორციელდა სამშენებლო მომსახურების პროვაიდერების მიერ გაწეული ზენორმატიული ხარჯებისთვის, რომლებიც ჯგუფის მიერ სახელმწიფო ვალდებულებების არასათანადო შესრულებას უკავშირდება.

ანარიცხების სახით აღიარებული თანხები წარმოადგენს ჯგუფის ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას იმ ხარჯებისა, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლის ურთიერთობები

კომპანიის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანიაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია ხელფასებსა და გასამრჯელოებში:

'000 ლარი	2022	2021
ხელფასები და ბონუსები	1,543	1,456

(c) ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

ჯგუფი აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ყველა სესხი და კრედიტი, ასევე საპროცენტო ხარჯი აღნიშნულ სესხებსა და კრედიტებზე ექვემდებარება გადახდას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის გრანტები ძირითადად მიიღება იმ ტრანზაქციებიდან, სადაც საქართველოს მთავრობა მოქმედებს შუამავლის სახით. ჯგუფის რესტრუქტურის ვალდებულებები ძირითადად შედგება საქართველოს მთავრობის ან სამთავრობო ორგანოების მიმართ არსებული ვალდებულებებისგან.

ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 4% (2021 წელს: 2%) მიიღება სამი საწარმოდან, რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ან კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ.

20. შვილობილი კომპანიები და ერთობლივი საწარმოები

<u>შვილობილი კომპანია</u>	<u>რეგისტრაციის ქვეყანა</u>	<u>2022 საკუთრება/ხმის უფლება</u>	<u>2021 საკუთრება/ხმის უფლება</u>
სს "Karcali Energy"	თურქეთი	99%	99%

2019 წელს, კომპანიამ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო) ერთად დაარსა ახალი საწარმო შპს „საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა“ სადაც ფლობდა 50%-ს. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, შპს "საქართველოს ენერჯეტიკულ ბირჟაში" ფლობილი საკუთრების წილი ერთობლივი საწარმოს სახით აღირიცხება.

21. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა საჭიროების შესაბამისად, მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებთან მორგების მიზნით. ზარალი, რომელიც უკავშირდება არამაკონტროლებელ წილს შვილობილ კომპანიაში, განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე იმ შემთხვევაშიც, კი თუ ასეთი ქმედება იწვევს არამაკონტროლებელის წილების დეფიციტურ ნაშთს.

(ii) მეკავშირე საწარმოები

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებშიც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არ ახორციელებს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს, როდესაც ჯგუფი ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას სხვა საწარმოში.

წილები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს გარიგების ხარჯებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის წილს მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების მიზნით კორექტირებების განხორციელების შემდეგ, იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა, ამ უკანასკნელის დასრულებამდე.

როდესაც ჯგუფის ზარალის წილი აღემატება მის წილს კაპიტალში აღრიცხულ ინვესტიციაში, ამ პროცენტის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციის ჩათვლით, მცირდება ნულამდე და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი აქვს ვალდებულება ან განხორციელებული აქვს გადახდები ინვესტირებული საწარმოს სახელით.

(iii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

შიდა-ჯგუფური ნაშთები და ტრანზაქციები, ასევე შიდა-ჯგუფური ოპერაციებისას წარმოქმნილი ნებისმიერი არა-რეალიზებული შემოსავალი და ხარჯები არის ელიმინირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

(b) შემოსავალი

(i) მომსახურება

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, მომხმარებლებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის მომენტში. ჯგუფი ძირითადად შემოსავალს ელექტროენერჯის გადაცემიდან, ექსპორტიდან და ტრანზიტიდან იღებს. შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში მომსახურებების გაწევის შესაბამისად, გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერჯის ყოველთვიური მოცულობის და მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფის საფუძველზე. ხელშეკრულებები კონტრაქტებთან არ ითვალისწინებს ფასდაკლებებს და ანგარიშფაქტურები გადასახდელია ყოველთვიურად.

პროგრესის შეფასება ეფუძნება გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერჯის ფაქტობრივ მოცულობას. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში. ელექტროენერჯის ტრანზიტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფები მითითებულია ტრანზიტის კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

(ii) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულების მქონე გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი იქნება მიღებული და ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტთან დაკავშირებით არსებულ პირობებს და შემდგომ აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში საპროცენტო შემოსავლის სახით სისტემატიურად, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. გრანტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად იმავე პერიოდებში, რომელშიც ადგილი ჰქონდა ხარჯების აღიარებას.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი ინვესტირებულ თანხებზე;
- ზარალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებაზე.
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;
- აქტივებთან დაკავშირებული გრანტების ამორტიზაცია;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებას ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) უცხოური ოპერაციები

უცხოური ოპერაციებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება ქართულ ლარში გარიგებების განხორციელების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სხვაობები აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში. იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ოპერაციაზე შეწყდება ამგვარი კონტროლი, მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი, აღნიშნულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში წარმოდგენილი საერთო თანხა ხელახლა კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლის ან ზარალის ნაწილის სახით.

(e) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(f) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა ჯგუფს აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(g) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშვება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები).

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(h) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შექმნასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო გაყიდვის ფასს, საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შექმნასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზირებულ სესხის ხარჯებს. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზირდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით. როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულის ძირითად შემადგენელ ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებით სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში, მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, ნებისმიერი დაკავშირებული ოდენობა შეტანილი გადაფასების რეზერვში, როგორც გადაფასების ნამეტი, გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ჯგუფის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. 2011 წლამდე შეძენილი აქტივების ცვეთა განისაზღვრება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 15-25 წელი;
- ელექტროგადამცემი ხაზები 20-35 წელი;
- მოწყობილობა 10-25 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები და სხვა 5-7 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(j) არამატერიალური აქტივები

(i) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდებიან თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს საოპერაციო ლიცენზიებს და პროგრამულ უზრუნველყოფას.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iii) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 3-დან 5 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროებისამებრ, კორექტირდება.

(k) სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ისინი ძირითადად მოიცავენ დაუმონტაჟებელ მოწყობილობას, როგორცაა სათადარიგო ნაწილები, სათადარიგო დანადგარები და სარემონტო დანადგარები, რომლებიც კაპიტალიზებულია, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალებების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, მსგავსი ერთეულები მარაგების სახით კლასიფიცირდება.

(l) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი იყენებს ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებს, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალლო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელმწიფო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელმწიფო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს (შენიშვნა 10) და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 11) და კლასიფიცირებულია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ ფლობილი ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა რომელიც გამოწვეულია ჯგუფის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომელიც მოიცავს სესხებს დაკავშირებული მხარეებისგან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, წარმოდგენილი შენიშვნებში 15 და 17, შესაბამისად, შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი აფასებს მის ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური აქტივის ვალუტის ცვლილება;
- უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო პირობების ცვლილება;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რაც იწვევს შეუსაბამობას SPPI კრიტერიუმთან. (მაგ. კონვერსიის თვისება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერ გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ანუ ბანკების მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის უფლებას და ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, რომ ან მიიღოს გადახდილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო პირობების ცვლილება;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელმწიფო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა ოდენობა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ურთიერთჩათვლის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ჯგუფს აქვს ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული რაიმე მომავალ მოვლენაზე და იურიდიულად აღსრულებადია საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის რეჟიმში და ჯგუფის და ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი დაფარვის ვადებით - 3 თვე ან ნაკლები.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯების გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(m) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(n) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

ჯგუფი აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის აღბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელმეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

იმის განსაზღვრისას მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს დასაბუთებულ და დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელმეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულებების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით, არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე, გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(o) იჯარები

ჯგუფმა ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები წარმოდგენილია ცალკე.

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება გამოყენების უფლებით აქტივის ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას ჯგუფს იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ გამოყენების უფლებით აქტივის თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

ჯგუფი მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე საფინანსო წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და მათი გარკვეული კორექტირებით, საიჯარო პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, რომლებიც თავდაპირველად დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით იქნა შეფასებული;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები; და
- აღსრულების ფასი შესყიდვის ოფციონის ფარგლებში, რომლის აღსრულებაშიც ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია, საიჯარო გადახდები არასავალდებულო განახლების პერიოდის განმავლობაში თუ ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას, და ჯარიმები იჯარის ნაადრევი შეწყვეტისთვის, გარდა შემთხვევებისა როდესაც ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია, რომ არ შეწყვეტს ნაადრევად ხელშეკრულებას.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ არსებობს ცვლილება ჯგუფის შეფასებაში იმ ოდენობისა რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, თუ ჯგუფი შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან თუ არსებობს გადახდილი არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ჯგუფი მის "აქტივებს გამოყენების უფლებით" რომლებიც არ აკმაყოფილებენ "საინვესტიციო ქონების" განმარტებას, "ძირითადი საშუალებების" და "საიჯარო ვალდებულებების" კატეგორიაში აკლასიფიცირებს (კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში).

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას. თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

როდესაც ჯგუფი შუალედური მეიჯარეა, იგი აღრიცხავს თავის წილებს ძირითადი იჯარისა და ქვეიჯარის კატეგორიებში, ცალ-ცალკე. იგი აფასებს ქვეიჯარის საიჯარო კლასიფიკაციას გამოყენების უფლების მქონე აქტივის მითითებით, რომელიც წარმოიშვება ძირითადი იჯარიდან, და არა შესაბამისი აქტივის მითითებით. თუ ძირითადი იჯარა არის მოკლევადიანი იჯარა, რომელთან მიმართებაშიც ჯგუფი იყენებს ზემოთ აღწერილ შეღავათს, მაშინ იგი ქვეიჯარას საოპერაციო იჯარის სახით აკლასიფიცირებს.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. ჯგუფი შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

„ჯგუფი“ საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ კატეგორიაში.

23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელთა ათვლა იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან და დაშვებულია მათი ნაადრევად გამოყენება; თუმცა, ჯგუფმა ნაადრევად არ მიიღო ახალი ან შესწორებული სტანდარტები, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ის შესწორებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები;
- სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკული რეკომენდაცია 2-ის შესწორებები);
- სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (ბასს 8-ის შესწორებები).